თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 55

„30“ მაისი 2014 წ.

ქ. თელავი

„თელავის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 15 ნოემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

მუხლი 1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 15 ნოემბრის N79 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ში (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 22100000, სტრ.N13) „ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები“-ს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ნაცვლად 3650 ლარისა, განისაზღვროს 4950 ლარით. შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;

2. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ში (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 37500000, სტრ.N41) „თამაშები და სათამაშოები; ატრაქციონები“-ს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ნაცვლად 3000 ლარისა, განისაზღვროს 3950 ლარით. შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;

3. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ს დაემატოს (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45200000, სტრ.N60) „სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები“-ს შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 14 739 ლარი. შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა. საფუძველი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, "ბ" ქვეპუნქტი. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი სარეზერვო ფონდი;

4. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ში (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 79900000, სტრ.N95) „სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული საქმიანობები“-ს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ნაცვლად 6100 ლარისა, განისაზღვროს 7100 ლარით. შესყიდვის

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის
ადგილობრივი
შემოსავალ №1616 ფურცელ 13
"03" 06 2014 წ.

საშუალება გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;

5. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ში (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45200000, სტრ.N15) „სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები"-ს შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით ნაცვლად 81 018 ლარისა, განისაზღვროს 76 361 ლარით. შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის, მე-3 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად. დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი;

6. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ში (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45300000, სტრ.N16) „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები"-ს შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით ნაცვლად 27 212 ლარისა, განისაზღვროს 31 869 ლარით. შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის, მე-3 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად. დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი;

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზ.N41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თხლაშიძე